

ოქმი N16

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს სხდომის

2017 წელი, 21 ივლისი
ქ. ოზურგეთი, 13⁰⁰სთ

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი:
ნ.გოგუაძე.

კომისიების თავმჯდომარეები: ლ.ბიგვავა, ლ.თოიძე,
მ.მახაროზლიძე, ი.საჯაია.

ფრაქციის თავმჯდომარეები: ნ.ორაგველიძე, კ.კვაჭაძე,
თ.ნადირიძე.

საკრებულოს წევრები: თ.სალუქვაძე, ვ. ჩიგოგიძე,
გ.ძიმისტარიშვილი, ლ.მგელაძე,

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ საკრებულოს და მერიის პასუხისმგებელი
პირები, მასმედიის წარმომადგენლები.

არ ესწრებოდნენ: ნ.ტაბატაძე, ნ.შარაშანიძე.

სხდომას თავმჯდომარეობდა: ნ.გოგუაძე.

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი, რომელიც
დამტკიცდა ერთხმად.

საკრებულოს წევრმა ლ. მგელაძემ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების
ამოწურვის შემდეგ ითხოვა განცხადების უფლება.

დღის წესრიგი

1. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების
შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20
დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე

თანამომხსენებლები: მარიკა ნაცვალაძე

ლავრენტი ბიგვავა

მომხსენებელმა მ. ნაცვალაძემ განმარტა წარმოდგენილი პროექტი.

აზრი გამოთქვას: ლ. მგელაძე - საგზაო ინფრასტრუქტურაზე რაიმე პროექტი არის? რაზე დაიხარჯება აღნიშნული თანხა?
მ.ნაცვალაძე-დამტკიცებულ პროექტებზე ტექნიკური ზედამხედველობისათვის ჩატარდება ტენდერი.
ი.საჯაია-ქალბატონმა **მ. ჯაფარიძემ** განმარტოს ფესტივალის ღონისძიების გეგმა.
მ. ჯაფარიძე - განმარტა ფესტივალის მიზანი და ფორმატი./ღონისძიების გეგმა თან ერთვის/


**დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილება
დამტკიცდა ერთხმად
დადგენილება თან ერთვის**

მოისმინეს ლ. მგელაძის განცხადება კარიერებთან დაკავშირებით

სხდომის თავმჯდომარემ ნინო გოგუაძემ მადლობა გადაუხადა დამსწრეთ და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

ნინო გოგუაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი
ხელმძღვანელობა